ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ49. 49260092**

თარიღი:**09/01/2026**

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწის მზია კიკალიშვილის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაკავებელ პოზიციაზე საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწედ გადანიშვნის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2017 წლის 30 ივნისის #36/119 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 61–ე მუხლის მე–3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 83-ე მუხლის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის #28 დადგენილებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ვბრძანებ :

1. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწის მზია კიკალიშვილის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაკავებელ პოზიციაზე საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწედ გადანიშვნის შესახებ “ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2017 წლის 30 ივნისის #36/119 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„ 1. მზია კიკალიშვილი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე, გადაინიშნოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაკავებელ პოზიციაზე - საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწედ, **განუსაზღვრელი ვადით** და შრომით გასამრჯელოდ განისაზღვროს თვეში **2880** ლარი.“

2. 2017 წლის 30 ივნისის #36/119 ბრძანების საფუძველზე, დადებული შრომითი ხელშეკრულებაში შევიდეს შესაბამისი ცვლილება (თან ერთვის), ხოლო მოქმედი ხელშეკრულების პირობები დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. აღნიშნულის შესახებ ეცნობოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, ქ.წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27, ტელ: (0436) 22-50-03, ელ-ფოსტა:
TSKALTUBO.SAKREBULO@GMAIL.COM